



ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და კავშირი –  
„საზოგადოებრივი დარბაზი ადიგენის განვითარებისათვის“ შორის  
ურთიერთთანამშრომლობის

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ.ახალციხე

10.04.2013წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორე მხრივ, კავშირი – „საზოგადოებრივი დარბაზი ადიგენის განვითარებისათვის“ (შემდგომში – კავშირი) წარმოდგენილი თავმჯდომარის გოდერძი კუბლაშვილის სახით, ისტრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისაკენ და მხედველობაში იღებენ ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### მუხლი 1

მემორანდუმის მირითადი მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერესებისაკენ მიმართული ერთობლივი სამეცნიერო, საგნამანათლებლო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის ფარგლებში თანამშრომლობა.

### მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან ერთობლივად უზრუნველყონ:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართვა სამეცნიერო, საგნამანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ პროექტებსა და ღონისძიებებში;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვა ისეთი სახის ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი სპეციალობის სტუდენტთათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ერთობლივი საქმიანობის ამსახველი ჯურნალების გამოცემა;
- ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

### მუხლი 3

მხარეთა შორის თანამშრომლობა განიხილება და განხორციელდება მხოლოდ აპოლიტიკურ ჭრილში.

### მუხლი 4

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთმანეთს გაუწიონ ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა.

### **მუხლი 5**

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები დამატებით შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

### **მუხლი 6**

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით.

### **მუხლი 7**

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

### **მუხლი 8**

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

### **მუხლი 9**

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

კავშირი – „საზოგადოებრივი დარბაზი

სასწავლო უნივერსიტეტი

ადიგენის განვითარებისათვის“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

დ.ადიგენი თამარ მეფის ქ.№2

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თავმჯდომარე

სრული პროფესორი

მერაბ ბერიძე

გოდერმი კუბლაშვილი

